რაზმუს მუნდუსის (Erasmus Mundus) პროგრამის EMINENCE II პროექტი ფანტასტიკური იყო. ორი დაუვიწყარი სემესტრი გავატარე როვირა ი ვირჯილის უნივერსიტეტში. ეს იყო უზარმაზარი შესაძლებლობა, რომელიც ყველა სტუდენტმა უნდა გამოცადოს. დიდ დროს ვატარებდი უნივერსტიტეტის ბიბლიოთეკაში, ვსწავლობდი, თუ როგორ უნდა მესაუბრა პედაგოგებთან, პროფესორებთან და სტუდენტებთან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსული.  ესპანეთში ჩასვლისთანავე მივხვდი, რომ დიდი გამოწვევის წინაშე ვიდექი. უცხო ქვეყანაში მარტო ცხოვრებამ მიმახვედრა, რომ უკვე გავიზარდე. იქ არც დედ-მამა მყავდა, არც მეგობრები და ახლობლები, მაგრამ ვისწავლე ჩემს თავზე ზრუნვა. ჩემთვის ბევრს ნიშნავს იყო ერაზმუს მუნდუსის პროგრამის სტუდენტი; ის დამეხმარა პიროვნულ და პროფესიულ ზრდაში.

ნინო ქობალია